ხელშეკრულება №2

გამარტივებული შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 19.02.2021 წ.

ერთი მხრივ, **სსიპ ,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სნოს საჯარო სკოლა** (მის: სოფ სნო , ს/კ 241495958) **შემდგომში „შემსყიდველი"**, წარმოდგენილი დირექტორის ტარიელ ფირანისვილის სახით და

მეორე მხრივ, **შპს ,,მეგა ჰოულდინგ''**, ს/კ 405237765. **მისამართი:** ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. N2. **ტელ:** 558253153, **წარმოდგენილი მისი დირექტორის:** მარიამ მამუკაშვილის სახით, **შემდგომში „მიმწოდებელი"**

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: საბეჭდი ქაღალდი შესყიდვა:

1.2 კლასიფიკატორის კოდი: - , cpv: 30197630

1.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 68.60 ლარს, რაც მოიცავს შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

1.4 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 31 ივლისის ჩათვლით, მაგრამ არაუადრეს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

2.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 კალენდარული დღის განმავლობაში.

2.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: შემსყიდველთან შეთანხმებულ ადგილზე.

2.3 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდება.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშსწორება

3.1 შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

4.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

4.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

4.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0.2%-ის ოდენობით.

4.4 საჯარიმო სანქციების დაკისრება ანდა გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5. ფორს-მაჟორი

5.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

5.2 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად ითვლება ასევე მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არის დაკავშირებული.

5.3. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, წერილობით ან ელ. ფოსტის მეშვეობით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

5.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

6. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმებისა და ხელმოწერის საფუძველზე. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას ეყრადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7. შეტყობინება

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

8. სხვა პირობები

8.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

8.3 ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ ,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სნოს საჯარო სკოლა

ს.კ:241495958

მის : სოფ:სნო

ტელ:

დირექტორი:

(ხელმოწერა) ბ.ა

მიმწოდებელი:

შპს: ,,მეგა ჰოულდინგ''

ს/კ 405237765

საბანკო რეკვიზიტები:

ს/ს ,,საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ნ : GE04BG0000000020840800

ტელ:0322143314, 555751221,

დირექტორი: მარიამ მამუკაშვილი

(ხელმოწერა) ბ.ა